გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 144

2023 წლის 11 აგვისტო

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს.კ. 66.48.04.496) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 24 ივლისის N5/40196 წერილის შესაბამისად დადგა საკითხი, სოფელ ფლავში, პირველ ქუჩაზე N50-ში მდებარე გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს.კ. 66.48.04.496) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, შემდგომში ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისთვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთ) ლარად საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

„2022 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 იანვრის N4 დადგენილებით დამტკიცებული „პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ – ,,სოფლის ექიმის'' კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების განმახორციელებლად 2022 წლის 1 მარტიდან განისაზღვრა ა(ა)იპ - „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი“. შესაბამისად, საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგმა განახორციელა სოფლის ამბულატორიული ქსელის ინფრასტრუქტურული მდგომარეობის ანალიზი საქართველოს ყველა რეგიონში. 1000-ზე მეტი სოფლის ამბულატორიის შეფასებამ აჩვენა, რომ ინფრასტრუქტურა ამორტიზებულია, შენობების უმრავლესობა სარემონტო და მოუწესრიგებელი, რის გამოც ვერ ხდება პაციენტებისათვის სათანადო სამედიცინო მომსახურების შესაბამისი სტანდარტის შეთავაზება, ხოლო სამედიცინო პერსონალისათვის სათანადო სამუშაო გარემოს შექმნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგმა მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში თუ მოხდება სოფლის ამბულატორიების გადმოცემა საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის ბალანსზე, აღნიშნული დადებითად იმოქმედებს ,,სოფლის ექიმის'' პროგრამის განხორციელებაზე. საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი ერთიანი მიდგომით დაიწყებს მუშაობას აბმულატორიების რეაბილიტაცია/მშენებლობისათვის. რათა ქვეყანაში გაუმჯობესდეს პირველადი ჯანდაცვის მიწოდების ხარისხი. აღნიშნულ მიდგომას ასევე იზიარებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (2022 წლის 18 ივლისის N MOH 0 22 00114172 წერილი).

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია სოფელ ფლავში, პირველ ქუჩაზე N50-ში

მდებარე უძრავი ქონება (ს.კ. 66.48.04.496) გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში, შემდგომში ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისთვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთ) ლარად საკუთრებაში გადაცემის მიზნით

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 108-ე მუხლისა და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულის სააგენტოს 2023 წლის 24 ივლისის N5/40196 წერილის შესაბამისად

1. გადაეცეს, სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ: სოფელ ფლავში პირველ ქუჩაზე N50-ში მდებარე 454.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი N66.48.04.496;
2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი გორი, ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე